საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე სამხარაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი : 27.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზაზა ხარებავა

სალომე სამხარაძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის სალომე სამხარაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამათლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: ,,საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით, 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;
დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება
კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>დასაბუთება</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3">უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ სალომე სამხარაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებული ინფორმაციას და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები, კანდიდატს კეთილსინდისიერ, თავაზიან, გულისხმიერ, გაწონასწორებულ, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიან, საქმისადმი ერთგულ პიროვნებად ახასიათებენ.
კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ჯეროვნად, გამჭვირვალედ და კეთილსინდისიერად ასრულებს სამსახურეობრივ და სამოქალაქო ვალდებულებებს, რაც მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას დასტურდება, კერძოდ სალომე სამხარაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი (თანამსესხებელია) და დადებითი საკრედიტო ისტორია.
მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

გასაუბრებიდან ჩანს რომ კანდიდატი დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. კანდიდატი არის მოსამართლის</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

		თანაშემწე და მან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ყოფილა შემთხვევა, როცა კონკრეტულ საკითხზე ჰქონია საკუთარი პოზიცია, რომელიც გაუზიარებია მოსამართლესთვის, თუმცა ამ უკანასკნელს ის არ გაუთვალისწინებია, თუმცა მიუხედავად ამისა მოსამართლის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა დასაბუთების მაღალ სტანდარტს, აღნიშნულით კანდიდატმა ხაზი გაუსვა მის საქმიანობაში დამოუკიდებლობის ხარისხს. გასაუბრების პროცესშიც კანდიდატმა მის მიმართ დასმული ყოველი საკითხი განიხილა დამოუკიდებლად, ობიექტურად, შესაბამისი ანალიზისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით. ასევე რეკომენდატორები უთითებენ რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი, პრინციპული, სამართლიანი. მისი ქცევა როგორც სამსახურში ასევე სამსახურის გარეთ არის სამაგალითო. კანდიდატი გამოირჩევა პიროვნული სიმტკიცით, ზეგავლენის მიმართ მედეგობით, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:** გასაუბრების პროცესში კანდიდატი საკმაოდ თავდაჭერილი და კორექტულია. რეკომენდატორებიც სალომე სამხარაძეს დადებით პიროვნებად ახასიათებენ და აღნიშნავენ რომ მას გააჩნია ემოციების მართვის უნარი. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით კი დგინდება, რომ სალომე სამხარაძის მიმართ დისციპლინური ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მის მიმართ სისხლისამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. აგრეთვე სალომე სამხარაძე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება. მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს

		და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:** კანდიდატის შესახებ რეკომენდაციისა და კითხვარის ფორმის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი კოლეგებში განსაკუთრებული რეპუტაციითა და პატივისცემით სარგებლობს. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის ნაკლოვანებებისა და სუსტი მხარეების შესახებ არ მიუთითებიათ. ინტერნეტ სივრცეში სალომე სამხარაძის შესახებ ინფორმაცია არ მოიძებნა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **5. ფინანსური ვალდებულება:** მართალია სალომე სამხარაძე არ წარმოადგენს სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს, თუმცა ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მის შეფასებას ვახორციელებ ამ მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასების მსგავსად - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით ისე, როგორც ეს რეგლამენტირებულია ამავე კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით. კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები სალომე სამხარაძის შემოსავლის წყაროს, საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი (თანამსესხებელია) და დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ კანდიდატის მოსამართლედ გამწესების შემთხვევაში, მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების რაიმე საფუძველი არ

			იკვეთება, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას. მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის გათვალისწინებით, სრულად აკმაყოფილებს ამავე კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმის მახასიათებლებს. კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებულ მასალებში არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ სალომე სამხარაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			დასაბუთება
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25	სალომე სამხარაძის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ასევე მხედველობაში მივიღე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომი. კანდიდატმა კითხვებზე პასუხებისას ისაუბრა სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპის ურთიერთმიმართებაზე, ასევე მოსამართლის მიერ ნორმის contra legem განმარტების შესაძლებლობაზე. გამოხატვის თავისუფლების ჭრილში საინტერესო მსჯელობა განავითარა მოსამართლის და მოქალაქის გამოხატვის განსხვავებულობაზე, თავისეული მიდგომით მორალურ ასპექტში.

			კანდიდატმა აგრეთვე ისაუბრა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ. კანდიდატი კარგად იცნობს სამოსამართლო ეთიკის წესებს და მის ფუძემდებლურ პრინციპებს. აღნიშნა, რომ მოსამართლე არამხოლოდ უნდა იყოს კეთილსინდისიერი, არამედ ასეთად უნდა აღიქმებოდეს საზოგადოების თვალში და ა.შ. ყველა დასმულ საკითხზე შეუძლია საკმაოდ საფუძლიანი, ლაკონური, დამაჯერებელი და სწორი მიმართულებით არგუმენტირებული მსჯელობის განვითარება. რამოდენიმე საკითხზე თითქოს გაუჭირდა აღქმა, მოაკლდა დამაჯერებლობა, თუმცა საბოლოოდ მაინც ჩამოაყალიბა მისი მოსაზრება და პასუხი სწორი მიმართულებებით (მაგალითად: ხანდაზმულობისა და შეცილების ვადებზე, დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაზე, გაეროს პერიოდულ შეფასებებთან დაკავშირებით). კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი პუბლიკაციის - ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას“ გაცნობის შედეგად შემიძლია ვთქვა, რომ კანდიდატს აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი რეგულარულად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. სამართლის ნორმების ცოდნის შეფასების მიზნით შევისწავლე სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის მიხედვითაც, სალომე სამხარაძემ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის დარგებში გამოავლინა მრავალმხრივი თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ცოდნა სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საკითხებში. რაც შეეხება სისხლის სამართლის დარგს, მას აქვს თეორიული ცოდნა, იცნობს კანონმდებლობას, თუმცა შედარებით მეტ დროს ანდომებს სისხლის სამართლის საკითხებზე კონკრეტული საკითხის შესწავლასა და გაანალიზებას. ასევე კარგად იცნობს საუკეთესო სასამართლო პრაქტიკას როგორც ეროვნულს ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართულებით.

			კონკურსანტმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით დაამთავრა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა, სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელი გამოცდაში ქულობრივი შეფასება (88). კანდიდატის საჯარო მოსმენისა და დამუშავებული მასალის შეფასების შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ სალომე სამხარაძემ გამოავლინა ეროვნული მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა სამართლის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „სამართლის ნორმების ცოდნის“ კრიტერიუმში სალომე სამხარაძე უნდა შეფასდეს 23 (ოცდასამი) ქულით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სამართლებრივი სტატიის ანალიზისა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებებით. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მიმართ დასმულ, როგორც სხვადასხვა სამართლებრივ, ისე ზოგად საკითხებზე პასუხების დასაბუთებისას მისი მსჯელობა იყო დამაჯერებელი, ლაკონური, არგუმენტირებული. ვლინდება საკითხზე არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზის, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი. ასევე შესამჩნევია სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების უნარები, მისი პოზიციის განმარტების უნარი. კანდიატმა იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე, გარკვეულ შემთხვევაში დასაშვებად მიაჩნია შეზღუდვა სხვათა მორალური უფლების ხელყოფის საპირწონედ. განავითარა მსჯელობა მოსამართლის მიერ აზრის შეცვლის საკითხზე, კერძოდ მის მიერ საკითხის გადაწყვეტის ახლებურ გადაწყვეტაზე იმ

			პირობებში, როდესაც საკანონმდებლო ჩარჩო უცვლელია. კანდიდატს მიაჩნია, რომ მოსამართლის მიერ აზრის შეცვლა სრულიად ბუნებრივი პროცესია და იგი რიგ გარემოებებზეა დამოკიდებული, მათ შორის საკითხის მიმართ მორალურ დამოკიდებულებებზე, საჯარო და კერძო ინტერესთა ბალანსზე და სხვა საკითხები. მსჯელობისას კანდიდატი აზრს ავითარებდა გამართულად, თანმიმდევრული ანალიზის და შესაბამისი არგუმენტების მოშველიებით. სალომე სამხარაძემ წარმოადგინა საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალში გამოქვეყნებული სამართლებრივი სტატია, თემაზე „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას". მისი გაცნობისას დგინდება, რომ მასში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. დანახული აქვს პრობლემატური საკითხები და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებული აქვს მოქნილი საშუალებები მის აღმოსაფხვრელად. კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის 9 წლის გამოცდილება. ამჟამად მუშაობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მოსამართლის თანაშემწედ. სალომე სამხარაძემ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ხშირად უწევს განჩინებისა და გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, სამართლებრივი პრაქტიკის კუთხით მიღებული აქვს დიდი გამოცდილება. სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებიდან ირკვევა, რომ კონკურსანტს სამართლის ყველა დარგში აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. კანდიდატის მოსმენის, მის მიმართ მოძიებული და წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ მას აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნებისა და შეფასების უნარი, ასევე შეიძლება ითქვას, რომ დაგროვილი აქვს სამუშაო პერიოდის შესაბამისი პროფესიული გამოცდილებაც. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35^1

			მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის“ კრიტერიუმში სალომე სამხარაძე უნდა შეფასდეს 23 (ოცდასამი) ქულით.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20	კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი სტატიის გაცნობით, ასევე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით. რეკომენდატორების მითითებით კანდიდატი წერილობით აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად. აქვს გამართული მეტყველების უნარი, ხასიათდება სხვისი აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოსმენით და საკუთარ მოსაზრებებთან შეჯერების უნარით. სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებიდან ირკვევა, რომ სალომე სამხარაძეს აქვს შესანიშნავი გადმოცემისა და ლოგიკურად მსჯელობის უნარი. საუბრისას შეუძლია ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან გარემოებებზე. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული, თითქმის არ საჭიროებდა კორექტირებას. სამართლებრივი სტატიის გაცნობისას ჩანს, რომ კანდიდატი კარგად ფლობს და ადეკვატურად იყენებს სამართლებრივ ლექსიკას. ნაშრომი არ არის გადატვირთული არამიზნობრივი მსჯელობით და იგი მკითხველისთვის იოლად აღსაქმელია. შესწავლილ მასალაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოკვეთილა. აღნიშნული უნარები დადასტურებულად მიმაჩნია მისი საჯარო მოსმენის შედეგად, რის საფუძველზეც ვასკვნი, რომ სალომე სამხარაძე აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, როგორც წერის, ასევე ზეპირი კომუნიკაციის დროს. საუბრობს ზომიერი ტონით, ჩანს მობილიზებული, თავდაჯერებული, ოდნავ შესამჩნევი შინაგანი ღელვით, თუმცა კარგად ართმევდა თავს ემოციას. კანდიდატს აქვს უნარი ღიად განავითაროს თავისი აზრი ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე, გააჩნია შესაძლებლობა მოთმინებით და მიმღებლობით მოისმინოს სხვისი აზრი, მათ შორის განსხვავებული აზრიც. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4

			პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" კრიტერიუმში სალომე სამხარაძე უნდა შეფასდეს 19 (ცხრამეტი) ქულით.
პროფესიული თვისებები	15	15	ს.სამხარაძის პროფესიული თვისებების შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებითა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი ხასიათდება შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, სამართლიანობით, დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესულ გარემოში მუშაობის უნარით, პუნქტუალურობით, მაღალი კვალიფიკაციით. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კონკურსანტს შესწევს საქმის სათანადოდ დაგეგმვის, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის, დროის და რესურსის სწორად გადანაწილების უნარი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებიდან ირკვევა, რომ კონკურსანტი არის ორგანიზებული, თანმიმდევრული, მიზანმიმართული, შედეგზე ორიენტირებული, თავდაჯერებული და სტრესის ამტანი. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს სათანადოდ გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, რასაც ავლენს გასაუბრების პროცესში დასმულ როგორც სამართლებრივ, ასევე ზოგად საკითხებზე მსჯელობისა და დასაბუთებისას. არის მობილიზებული, აქვს უნარი და გამოცდილება სტრესულ სიტუაციებში მუშაობისა, რასაც ხელს უწყობს მისი შრომისმოყვარეობა, პუნქტუალურობა, მიზანდასახულობა და სათანადო მენეჯერული უნარ ჩვევები. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებების" კრიტერიუმში სალომე სამხარაძე უნდა შეფასდეს 15

			(თხუთმეტი) ქულით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10	პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე გასაუბრების პროცესზე მასზე დაკვირვებით, კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცით) აგრეთვე, ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია). ს. სამხარაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო ადმინისტრირების და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის მიერ ჩატარებულ სასამართლო მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევაში. კანდიდატს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას მიღებული აქვს სტიპენდია. კანდიდატი ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს. ს.სამხარაძეს წარმატებით აქვს დასრულებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი (2019-2020წ.) რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ სალომე სამხარაძეს მუდმივად მუშაობს საკუთარი თავის განვითარებაზე, ეცნობა უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას და ევროსასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს. კანდიდატის განცხადებით, მან მიიღო მონაწილეობა ევროსაბჭოს მიერ შემოთავაზებულ კონკურსში, რომელიც განკუთვნილი იყო წევრი ქვეყნების მოსახლეობისთვის, სადაც გაიარა 3 თვიანი შესარჩევი ეტაპი და მიეცა შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ბატ. ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით) 2 თვის განმავლობაში გაეცნოს სასამართლო პრაქტიკას და აიმაღლოს კვალიფიკაცია. გასაუბრებიდანაც ჩანს, რომ კანდიდატი, მიუხედავად მისი ახალგაზრდული ასაკისა საკმაოდ კვალიფიციური და მობილიზებულია, ახასიათებს მისწრაფება სიახლეების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენისათვის, აქვს თვითგანვითარებისა და ახალი ცოდნისა და შესაძლებლობების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4

			პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის'' კრიტერიუმში სალომე სამხარაძე უნდა შეფასდეს 9 (ცხრა) ქულით.
პროფესიული აქტივობა	4	5	პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესზე მასზე დაკვირვებით. კანდიდატს რამდენიმე სამართლებრივ ღონისძიებაში (ტრენინგები) აქვს მონაწილეობა მიღებული, შემდეგ თემებზე: სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტი; ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში; პერსონალური მონაცემების დაცვა; მართლმსაჯულების ზაფხულის სკოლა; სალომე სამხარაძეს გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატია, თემაზე „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას“; საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, N1, 2019. კანდიდატის მიმართ მოძიებული და წარმოდგენილი ინფორმაციის, მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ მას საკმაოდ შესწევს უნარი გამოიჩინოს ინიციატივა, გამოკვეთოს თავისი იდეები და წინადადებები, რაც ასევე ნათლად ჩანს მის მიმართ დასმულ კითხვებსა და საკითხებზე პასუხების დასაბუთებისას და სამეცნიერო სტატიის ანალიზის შედეგად. თუმცა აღვნიშნავ, რომ სასურველი იქნებოდა კანდიდატის პროფესიული აქტივობის კუთხით მეტად აქტიურობა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის'' კრიტერიუმში

			სალომე სამხარაძე უნდა შეფასდეს 4 (ოთხი) ქულით.
ქულათა ჯამი	93	100	

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.